შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№37 (10.142)

12—19 ოქტომბერი 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„თავის ჩოხაზე უფრო ღარიბი“ — ვაჟაობა 2024

„თავის ჩოხაზე უფრო ნაარიბი“ - ასე მოიხსენიებენ მწერალს, რომელიც 1888 წლიდან რაჰგაზში ცხოვრობდა, სხვა გზებიც ხნავდა მიწას, უვლიდა საქონელს და ნადირობდა. ვაჟა-ფშაველა იმ ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა პიროვნებისა და შემოქმედებისადმი ინტერესიც ჯერის გასვლასთან ერთად ახალთუ ნელდება, არამედ სულ უფრო მატულობს. ჯერ შემოქმედის გარეშე, თითოეულის წინაშე იხატება ადამიანი, რომელსაც შეეძლო უკანასკნელი ჩოხა ერჩუქებინა მეზობლისთვის, ხელით ნაეწნა ყვავილების გვირგვინი ნეფე-პატარძლისათვის, ხანჯლით ყუჩი ჩამოეთალა ოჯახის წრისების შემვახვევლისათვის, ენადგმა უბრალო გლეხებთან და, ამასთანავე, ეკამათა გრიგოლ რობაქიძესთან თეოსოფიური შეხედულებების პრობლემებზე.

5 ოქტომბერს, ქვემო ქედში, აი, ასეთი ადამიანისადმი, მწერლისა და პოეტისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული, „ვაჟაობა“ აღინიშნა.

„ვაჟაობა“ ქართული ჭიდაობით დაიწყო. გამარჯვებულებს ფულადი პრიზები და სამახსოვრო თასები გადაეცათ. ამის შემდეგ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ სოფლის ცენტრში არსებული ვაჟა-ფშაველას ძეგლი გვირგვინით შეამკეს. სპეციალურად ამ დღისთვის მოეწყო თემატური კუთხეები, ნახატების და ტრადიციული რეწვის ნიმუშების გამოფენა.

წარმოდგენილი იყო მირზაანის დედათა მონასტერში მოღვაწე დედების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთები, რომლებიც წელს უკვე მეორედ გამოიფინა „ვაჟაობის“ დღესასწაულზე. **„დიდი დღესასწაულია „ვაჟაობა“, რადგან ყველაფერი დიდებულია, რაც ვაჟა-ფშაველას უკავშირდება. გახარებულები ვართ, რომ მცირედი წვლილი შეგვაქვს ამ ღონისძიებაში“** - აღნიშნეს დედებმა. შეგახსენებთ, მირზაანში უკვე 4 წელია, სამკერვალო-სახელოსნო ფუნქციონირებს. სახელოსნოს გვერდით არსებულ მაღაზიაში განთავსებულია დედების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთები. მათი შეძენა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

ღონისძიებაში ადგილობრივი ხელოვანები იყვნენ ჩართულნი. მათ შორის იყო **ანა წიკლაური,** რომელიც ტრადიციულ ხელსაქმეს მისდევს: „ტრადიციულ ხელნაკეთ ნივთებს ვაწარმოებ. გამოფენაზეც ძირითადად ნაქარგები, მოქსოვილი ნივთები მაქვს წარმოდგენილი. ძირითადად, კერძო შეკვეთებზე ვმუშაობ და უმეტესწილად, სოციალური ქსელით ვუწევ რეალიზაციას, მაგრამ ადგილობრივ დღესასწაულებზეც მაქვს ხოლმე ნივთები გამოფენილი, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია მათი შეძენა. „ვაჟაობა“ სიმბოლური დღეა ჩემთვის და თითოეული ქედელისთვის, რადგან ვაჟა-ფშაველას წინაპრები ვართ. მისი პიროვნებისა და შემოქმედების კიდევ ერთხელ გახსენება, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ჩვენთვის“.

ნოდარ დარჯული, *მხატვარი:* „ამ სოფლებში ხალხი ვაჟა-ფშაველას ჩამოსახლებულია, მის კვალზე მოვდივართ უკვე ჩვენც. თითქოს თავი ვალდებულად ჩავთვალე, დამეხატა ვაჟა-ფშაველას პორტრეტები. შევქმენი რამდენიმე ტილო. ზოგი გაჩუქებულია, ზოგი კი გამოფენაზეა წარმოდგენილი. ჩაფიქრებული მაქვს, ვაჟა-ფშაველას თემაზე კიდევ შევქმნა რამდენიმე ნამუშევარი. აქვე გეტყვით, რომ ვაპირებ, ჩემი ერთ-ერთი ნახატი, კერძოდ, „ბასიანის ბრძოლა“ დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადავცე საჩუქრად“.

სადღესასწაულო კონცერტში მონაწილეობა ადგილობრივ მუსიკალურ ჯგუფებთან ერთად დუშეთის კულტურის სახლთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,ლაშარელამ “ და თიანეთის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,აონმა” მიიღო. მათ მიერ წარმოდგენილმა სასიმღერო პროგრამამ დიდი ოვაციები და დადებითი შეფასება დაიმსახურა.

ქვემო ქედელებს „ვაჟაობის“ დღესასწაული დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილმა, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერმა მაცაცო ნარიმანიძემ და თიანეთის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან წიკლაურმა მიულოცეს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ქვემო ქედში ცხოვრობს საქართველოზე შეყვარებული ხალხი. აქ ცხოვრობს გმირი ხალხი, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში, თავიანთი მამა-პაპის გამოვლილი გზით აქვთ ეს დამტკიცებული. ასეთი მაგარი, მებრძოლი, ნიჭიერი ხალხის ერთობა არის ქვემო ქედი, ჩვენი ლამაზი დედოფლისწყარო და მთელი ჩვენი საქართველოც. მადლობა ბავშვებს, რომლებმაც ასეთი კარგი სიმღერები შემოგვთავაზეს. სითბო, სიყვარული და ძალა იგრძნობოდა მათ ნამღერში. დღევანდელი „ვაჟაობა“ იმით არის უნიკალური, რომ ბატონი ნუგზარის ეს იდეა უფრო მდიდრდება. ეს კი გამოიხატება იმაში, რომ მხოლოდ ჩვენი ბავშვები და შემოქმედებითი კოლექტივები კი არ წარსდგნენ თქვენს წინაშე, არამედ დუშეთის და თიანეთის კოლექტივებიც, ხალხი, რომლებისთვისაც ბუნებრივია ვაჟას სიყვარული, რაც მათი სულიდან და გულიდან მოდის. სკვერიც, რომელიც დღეს ქვემო ქედის ცენტრშია და ძეგლიც, რომელიც აქ დგას, ამ სოფლის და ბატონი ნუგზარის ინიციატივით გაკეთდა. დაწმუნებული ვარ, ბავშვები რომ გაივლიან და ვაჟას დაინახავენ, სულ სხვანაირად ლაღები, ამაყები, სამშობლოზე შეყვარებულები (პატრიოტები) და ღირსებული ადამიანები გაიზრდებიან. ამ ნათელ და ლამაზ გარემოში გაზრდილი ბავშვი, სულიერადაც და ხორციელადაც, მამა-პაპის ტრადიციების მიმდევარი, კარგი მშობლების, მასწავლებლების აღზრდილი, ყოველთვის იქნება სამშობლოს, თავისი რაიონის, თავისი პრინციპების სადარაჯოზე. ამიტომ, მჯერა, რომ ქართული გენი, ფშაური გენი, ქედელები, დედოფლისწყაროელები და ქართველები, არასდროს გადაშენდებიან“.

ნუგზარ პაპიაშვილი: „ამ ასაკის ადამიანი, რომ აღელდება, ე.ი ეს დიდ სიხარულს ნიშნავს. ყველაფერი გამომიცდია ცხოვრებაში - სიხარულიც, ხანდახან მწუხარებაც, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, რომ ქვემო ქედში „ვაჟაობა“ სტარტს აიღებდა. თან ისე, რომ ასეთი ლამაზი ხალხი გვესტუმრებოდა და ასე ლამაზად მოეწყობოდა ყველაფერი.

/გაგრძელება გვ.5/

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი №50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 26 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი/უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ღირებულება კი 150 ლარით განისაზღვრება.

მორიგი სამუშაო შეხვედრა მერის წარმომადგენლებთან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს. აღინიშნა, რომ დასკვნით ეტაპზეა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტები და ისინი უახლოეს პერიოდში დასრულდება. ამასთან ერთად, წარმატებით ხორციელდება სხვა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტიც.

სამუშაო შეხვედრას მერის მოადგილეები-გელა სამუკაშვილი და მალხაზ მერაბიშვილი ესწრებოდნენ.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით 3 მილიონ 300 ათასმა მოქალაქემ ისარგებლა - ირაკლი კობახიძე

„ჯანდაცვა არის ერთ-ერთი მიმართულება, რითაც განსაკუთრებულად ვამაყობთ: საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამა, რითაც შეიძლება თავი მოვიწონოთ“, - ამის შესახებ „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა, პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციისას განაცხადა.

მისი თქმით, პროგრამით ამ წლების განმავლობაში უკვე 3 მილიონ 300 ათასმა მოქალაქემ ისარგებლა, 13 მილიონზე მეტი სამედიცინო შემთხვევა დაფინანსდა და ჯამური დაფინანსება, რაც ამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო, 8,5 მილიარდი ლარია.

„ასევე გვაქვს უამრავი ახალი მიზნობრივი პროგრამა ჯანდაცვაში, მთლიანობაში 100-მდე პროგრამაა, რომელიც განკუთვნილია მიზნობრივი ჯგუფებისთვის. ახალი რესპუბლიკური საავადმყოფო ჩვენი ერთ-ერთი ამბიციური ამოცანაა. თბილისს სჭირდება ახალი, უმაღლესი სტანდარტების რესპუბლიკური საავადმყოფო და ის აუცილებლად აშენდება. უახლოეს მომავალში გვექნება ამ საავადმყოფოს კონცეფციის პრეზენტაცია. რაც შეეხება შედეგებს, რომელიც გვაქვს ჯანდაცვაში ჩადებული ინვესტიციებიდან, 2012 წლიდან დღემდე, ქვეყანაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 72-დან 75 წლამდე გაიზარდა, გაზრდილია სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ზუსტად 5-ჯერ შემცირდა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ფინანსების არარსებობის გამო ვერ ახერხებენ, მიმართონ ჯანდაცვის დაწესებულებებს. რეალურად, ხუთჯერ არის გაზრდილი ფინანსური ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე.

ბიუჯეტის მონაცემებიც შთამბეჭდავია. 2 მილიარდზე ნაკლები იყო გამოყოფილი ბიუჯეტში ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებით, ეს იყო ბიუჯეტის 21.6%, ბიუჯეტი ისედაც მწირი იყო და აქედანაც მხოლოდ 21.6% იყო გამოყოფილი ჯანდაცვასა და სოციალურ დანახარჯებზე. 2024 წელს უკვე თითქმის 8 მილიარდ ლარს შეადგენს დანახარჯები და ბიუჯეტის საერთო მოცულობასთან მიმართებით 27%-ს აღემატება სოციალური ბიუჯეტის მოცულობა, რაც პრაქტიკულად ნიშნავს უკვე იმას, რომ ზღვარზეა ჩვენი სოციალური დანახარჯები. ამის იქით სოციალური ხარჯების გაწევა ნიშნავს იმას, რომ უნდა დავაწვეთ ზედმეტად ეკონომიკას, ეკონომიკური ზრდა უნდა შევაფერხოთ. ეს არის ოპტიმალური მაჩვენებელი, რასაც ჩვენ მივაღწიეთ. რა თქმა უნდა, ბიუჯეტის ზრდა ზოგადად გაგრძელდება ამ მიმართულებით“, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

მმართველი პარტიის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსებაზე და აღნიშნა, რომ მათ შორის სოციალური დახმარების და პენსიებისთვის, 2012 წელს მთლიანობაში გამოყოფილი იყო 1.7 მილიარდი ლარი, 2024 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი 6 მილიარდ ლარს შეადგენს და ზრდა გაგრძელდება.

„რაც შეეხება უმუალოდ სოციალურ დახმარებას, 276 მილიონი იყო გამოყოფილი, აქ შეგახსენებთ, რომ არანაირი ობიექტური კრიტერიუმები არ არსებობდა სოციალური შემნეობის დახმარების გამოყოფისთვის. არსებითად საარჩევნო მიზნებზე იყო ხოლმე მორგებული შესაბამისი დახმარების განაწილება. ჩვენ, გარდა იმისა, რომ რამდენჯერმე გავზარდეთ შესაბამისი ბიუჯეტი, ამასთან ერთად შემოვიღეთ ობიექტური კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც ხდება სოციალური დახმარების განაწილება მოსახლეობაზე. რა თქმა უნდა, ბიუჯეტის ზრდამ მოგვცა კონკრეტული დაფინანსების ზრდის საშუალება, მაგალითად შშმ პირთა სოციალური პაკეტი მნიშვნელოვნად/მკვეთრად გამოხატული შშმ პირების შემთხვევაში 2012 წელს იყო 70 და 100 ლარი შესაბამისად და ეს მაჩვენებელი გაიზარდა 195 და 390 ლარზე“, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

მისივე თქმით, 2012 წლამდე პრაქტიკულად „ჩავარდნილი იყო“ დევნილების საცხოვრისით უზრუნველყოფის სფერო.

„2012 წლამდე თითქმის არაფერი გაკეთებულა, თუ არ ჩავთვლით უმუალოდ 2008 წლის ომის შემდეგ გრანტით და სესხით აშენებულ საცხოვრებლებს, რომლებიც აშენდა ცხინვალიდან დევნილებისათვის.

რაც შეეხება ჩვენი ხელისუფლების პერიოდს, 35 000 ოჯახი დაკმაყოფილდა საცხოვრისით 2012-2024 წლის განმავლობაში. დევნილების საერთო რაოდენობა არის დაახლოებით 75 000 ოჯახი, შესაბამისად, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევა. მხოლოდ მიმდინარე პროექტების ფარგლებში, 6 000 ოჯახი მიიღებს დამატებით ბინებს ახლად აშენებულ კორპუსებში“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

2025 წლიდან მიკროავტობუსებით მგზავრთა გადაყვანა იკრძალება - რა მიმართულებებს შეეხება ცვლილება

მომავალი წლიდან საქალაქთაშორისო რეგულარული მგზავრთგადაყვანა M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებით (ავტობუსი) განხორციელდება.

ახალი რეგულაციის მიხედვით, რომელიც 2025 წლის პირველი ივნისიდან შევა ძალაში, თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, ზუგდიდსა და თელავს შორის მიკროავტობუსებით მგზავრების გადაყვანა იკრძალება. შესაბამისად, ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ქალაქების მიმართულებით მიკროავტობუსებით მგზავრების გადაყვანა ვეღარ მოხდება.

ამასთან, როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში „ბიზნესპრესნიუსთან“ განაცხადეს, ცვლილება შეეხება ასევე 150 კმ-ზე მეტი მანძილით დაშორებულ საქართველოში მდებარე დასახლებებში საქალაქთაშორისო მგზავრთა გადაყვანას.

„საქართველოში საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაყვანის რეფორმის ფარგლებში, 2025 წლის პირველი ივნისიდან, ძალაში შედის ვალდებულება, რომელიც გულისხმობს თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, ზუგდიდს, თელავს და ასევე, 150 კილომეტრზე მეტი მანძილით დაშორებულ საქართველოში მდებარე შესაბამის დასახლებებს (ქალაქი, სოფელი, დაბა) შორის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებას M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებით,“ - განაცხადეს ეკონომიკის სამინისტროში.

საქართველოში საერთაშორისო ვიზიტები მკვეთრად გაიზარდა

მიმდინარე წლის I-III კვარტლის მდგომარეობით, სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან საქართველოში 121,815 საერთაშორისო ვიზიტი განხორციელდა, რაც 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +24.8%-ითაა გაზრდილი. ამის შესახებ ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, იანვარი-სექტემბრის პერიოდში ყველაზე მეტი - 77,567 ვიზიტი საუდის არაბეთიდან დაფიქსირდა, რაც 2023 წლის მონაცემებს +21.8%-ით აჭარბებს, შემდეგ მოდის ქუვეითი 23,415 ვიზიტით, ზრდა 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +48.1%-ია.

აღსანიშნავია, რომ 9 თვეში საქართველოს 6 მილიონამდე საერთაშორისო მოგზაური ეწვია. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 2024 წლის I-III კვარტლის სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს.

იანვარი-სექტემბრის პერიოდში საქართველოში 5 794 661 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა, ზრდა 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +4.1%-ია.

„2024 წლის 9 თვეში საქართველოში 3,992,842 საერთაშორისო ტურისტული ვიზიტი შედგა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდა +9.2%-ია. საერთაშორისო მოგზაურთა და ტურისტთა ზრდა ფიქსირდება 2024 წლის მესამე კვარტალშიც.

ივლისი-სექტემბრის პერიოდში საქართველოში 2 773 594 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა, 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდა +2.5%-ია.

ივლისი-სექტემბრის პერიოდში ქვეყანაში 1,869,026 საერთაშორისო ტურისტული ვიზიტი შედგა, ზრდა +8.3%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით“, - აღნიშნულია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში

კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია დაიწყო

ქალაქ დედოფლისწყაროს ე.წ. მიკრორაიონის კორპუსების რეაბილიტაცია იწყება. სამუშაოების მწარმოებელი კომპანია უკვე გამოვლენილია. ტენდერში შპს „რებილდი“-მ გაიმარჯვა, მას კონკურენტი არ ჰყოლია. პროექტისთვის 2 533 687 ლარია გათვალისწინებული. კომპანიასთან ხელშეკრულება მერიამ 30 სექტემბერს გააფორმა, რითაც მას ხუთი კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია დაევალა. სამუშაოთა წარმოების ვადა განესაზღვრა 2025 წლის ივნისამდე, თუმცა, იქვე მითითებულია, რომ 2024 წლის დეკემბერში სამუშაოების ნაწილი უნდა ჩაბარდეს და მიიღოს ანაზღაურების ნაწილი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედმა სატენდერო კომისიამ 4 სექტემბრის სხდომის გადაწყვეტილებით კომპანიას დოკუმენტებში არსებული ხარვეზების გასწორება მოსთხოვა, 11 სექტემბრის ოქმში კი მიუთითა, რომ დოკუმენტაცია მოთხოვნებს შეესაბამება.

რეაბილიტაციის პროექტი მიკრორაიონის მაცხოვრებლებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა რამდენიმე დღის წინ ადგილზე სტუმრობისას თავად გააცნო. **შირაქი**

ბაღების ავტორიზაცია იწყება

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებითა და მსოფლიო ბანკის ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტის (I2Q) მხარდაჭერით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ავტორიზაციის სიმულაციური პროცესის დასკვნითი ღონისძიება გაიმართა. ამის შესახებ ინფორმაციას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ავრცელებს.

2024 წლის განმავლობაში სიმულაციური ავტორიზაცია 6 დაწესებულებაში განხორციელდა. პროცესში ჩართულნი იყვნენ თბილისის 101 საბავშვო ბაღი, თეთრიწყაროს, გორის, დედოფლისწყაროს, ხელვაჩაურის და ბოლნისის საბავშვო ბაღები.

„სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ადრეული და სკოლამდელი განათლება. ამის დასტურია ადრეული და სკოლამდელი განათლების რეფორმა, რომლის განხორციელებაც 2022 წლიდან დაიწყო. აღნიშნული რეფორმა თავისი მასშტაბებითა და მნიშვნელობით უნიკალურია. მასშტაბზე ხაზგასმა მნიშვნელოვანია, რადგან სახელმწიფომ გადაწყვიტა რეფორმის ფარგლებში ერთიანად დაეწყო ზრუნვა როგორც საჯარო, ისე კერძო ბაღებზე. რაოდენობრივ ჭრილში წარმოდგენილი ეს მონაცემები საკმაოდ შთამბეჭდავია. ორი ათასზე მეტი დაწესებულება უკვე მოქცეულია ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოში და კანონით განსაზღვრული ეტაპების შესაბამისად გადის განვითარების ეტაპებს. საბოლოოდ, ჩვენი ხედვაა მივიდეთ იქამდე, რომ სასკოლო მზაობის პროგრამის საფეხური გახდეს სავალდებულო და ხელმისაწვდომი ყველა ბავშვისთვის“ - მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, **ალექსანდრე წულაძემ.**

ღონისძიებას ესწრებოდნენ განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, მსოფლიო ბანკისა და ბაღების გაერთიანებების წარმომადგენლები. ასევე, ბაღების ავტორიზაციის საბჭოს წევრები.

სიმულაციური ავტორიზაციის პროცესი გამოცდილებითი სწავლების მნიშვნელოვანი ეტაპია და მიზნად ისახავს რეალური ავტორიზაციისთვის მომზადებას. პროცესში გამოცდილება მიიღეს თავად საბავშვო ბაღებმა, ავტორიზაციის ექსპერტებმა, ავტორიზაციის საბჭომ და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა. პროცესში გამოვლენილი მიგნებები და გამოწვევები გამოყენებული იქნება სამომავლოდ პროცესების დახვეწისა და განვითარებისთვის.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების რეალური ავტორიზაციები 2025 წლიდან დაიწყება განათლების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ავტორიზაციის გავლის განრიგის შესაბამისად. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ავტორიზაციას 4 საბავშვო ბაღი გაივლის, ესენია: ხორნაბუჯის, არხილოსკალოს, არბოშიკისა და საბათლოს საბავშვო ბაღები.**

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად ხორნაბუჯის ბაღი სიმულაციური ავტორიზაციის პროცესში მიმდინარე წლის ივლისში ჩაერთო. ბაღს ექსპერტთა კორპუსი სტუმრობდა, რომელიც ავტორიზაციის ოთხივე მიმართულების სტანდარტის ექსპერტებით იყო დაკომპლექტებული. პროცესს აკვირდებოდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **თამარ თამაზაშვილი**.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი განაგრძობს ბაღების ავტორიზაციის პროცესში დაწესებულებების ხელშეწყობის პროექტებს, შეხვედრებს, ტრენინგებსა და სხვა აქტივობებს.

ილია მარტყოფლიშვილი

სიახლეები დედოფლისწყაროს საარჩევნო უბნებზე

დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქში მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებისთვის 20 საარჩევნო უბანი იმოქმედებს, შეცვლილია უბნების ნომრები და მისამართები. რამდენიმე უბანი ამომრჩეველს ახალ ობიექტზე მიიღებს, ამიტომ დეტალებს ყურადღებით გაეცანით. ქალაქ დედოფლისწყაროში არჩევნები ვეტლაბორატორიის შენობის ნაცვლად ვაშლოვანის ნაკრძალის ადმინისტრაციულ შენობაში ჩატარდება, ხოლო სოფელ სამრეკლოში კულტსახლის ნაცვლად კოლეჯ „აისის“ შენობაში. გაუქმებულია ქალაქ დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლაში მოქმედი საარჩევნო უბანი, იქ რეგისტრირებული ამომრჩევლები მეტალურგების ქუჩაზე, მესამე საბავშვო ბაღში განახორციელებენ ხმას. ორის ნაცვლად თითო უბანი იქნება სოფლებში სამრეკლოსა და ხორნაბუჯში, ამდენად, ხალხთა მეგობრობის მუზეუმში საარჩევნო უბანი აღარ გაიხსნება და სოფლის ყველა ამომრჩეველს საბავშვო ბაღში მისვლა მოუწევს.

2021 წლის არჩევნებზე დედოფლისწყაროს ოლქში 24 საარჩევნო უბანი მოქმედებდა, აქედან ერთი სპეციალური კოვიდუბანი იყო. წინა არჩევნებზე კი 23 საარჩევნო უბანი მოქმედებდა.

გაზეთი „შირაქი“ ჩვენს ოლქში არსებულ სიახლეებზე დედოფლისწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დავით ნასრაშვილს ესაუბრა და დაინტერესდა რამდენად მზად ხვდება საოლქო და საუბნო კომისიები დანერგილ სიახლეებს.

დავით ნასრაშვილი: „ახალი რეფორმის თანახმად დედოფლისწყაროში რამდენიმე უბანი ერთმანეთს შეერწყა და 23-ის ნაცვლად 20 უბანი გვექნება. ახალი მიდგომით 20 კილომეტრის მანძილზე არსებული უბნები უნდა გაერთიანებულიყო. ამდენად, ქალაქ დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლაში მოქმედი და სოფელ სამრეკლოსა და ხორნაბუჯში აქამდე არსებული საარჩევნო უბნები გამსხვილდა. ზოგიერთ შემთხვევებში გვაქვს ახალი მისამართებიც. რაც შეეხება არჩევნების ფორმას - დედოფლისწყაროს ოლქში 9 უბანზე ელექტრონული წესით ჩატარდება არჩევნები, ხოლო 11-ში ტრადიციული ბიულეტენებით, ელექტრონული არჩევნები შედგება ქალაქ დედოფლისწყაროს ოთხივე უბანზე, და სოფლებში: ხორნაბუჯი, სამრეკლო, ოზაანი, არბოშიკი და გამარჯვება ახალი ელექტრონული აპარატებით განახორციელებს ხმის უფლებას. დანარჩენი უბნები კი ძველი მეთოდით.

— ***ბატონო დავით, რამდენად მზადაა საოლქო და საუბნო კომისიები არჩევნების ახალი მეთოდით გამართულად ჩასატარებლად?***

— ახლა გავდივართ საარჩევნო უბნის წევრებისთვის გათვალისწინებული ტრენინგების მესამე ეტაპს. წელიწადნახევარია მიმდინარეობს მათი გადამზადება. ამიტომ, ყველა მათგანი მზადაა საიმისოდ, რომ ამომრჩეველს სრული სერვისი შესთავაზოს. 22 ოქტომბერს დავასრულებთ გადამზადების პროცესს. ყველა წევრისთვის ჩატარდა სამეტაპიანი სწავლება და კიდევ ორი ეტაპია დაგეგმილი. ასე რომ, ყველა წევრის კომპეტენცია იქნება შესაბამისი საიმისოდ, რომ მზად დახვდეს ამომრჩეველს. უბანზე ელექტროენერგიის გათიშვის შემთხვევაში ელექტრონულ აპარატებს გააჩნიათ კვების ბლოკი, ელემენტი დაახლოებით 4 საათის განმავლობაში უზრუნველყოფს ტექნიკის მუშაობას, რათა არ შეფერხდეს არჩევნების პროცესი.

— ***ელექტრონული ხმის მიცემის პროცესი რომ ყველა ასაკის ამომრჩევლისთვის გასაგები იყოს, დიდი ხანია მიმდინარეობს ამომრჩეველთა ინფორმირება შიდა და გარე სივრცეებში, სიმულაციური არჩევნები...***

— 2023 წლის მაისიდან დავიწყეთ სასწავლო კურსი, ხოლო გასული წლის ოქტომბრიდან დედოფლისწყაროში ყველა ტიპის ორგანიზაციაში მოვაწყვეთ საინფორმაციო შეხვედრები და ამომრჩეველს პრაქტიკულად გავაცანით ელექტრონული არჩევნების ყველა დეტალი. ოლქში 41 შეხვედრა ჩავატარეთ. 4000 ამომრჩეველზე მეტმა ამომრჩეველმა გააკეთა სიმულაციური არჩევანი და გაიარა ელექტრონული პროცედურები. ხოლო, მიმდინარე წლის ივლისში მთელი თვე დავუთმეთ არჩევნების იმიტაციას. აქაც 1200 მსურველი დარეგისტრირდა და თავად გამოთქვა სურვილი, სიმულაციურ არჩევნებში მიეღო მონაწილეობა. ასე რომ, დედოფლისწყაროში რეგისტრირებული 20 000 ამომრჩევლიდან 5200-ზე მეტმა ამომრჩეველმა ელექტრონული არჩევნების ახალი პროცედურები უკვე გაიარა და მისთვის საინტერესო კითხვებზე კომპეტენტური პასუხი მიიღო. გარდა ამისა, ელექტრონული ტექნოლოგიებისთვის სპეციალისტების მომზადება დავიწყეთ საარჩევნო სკოლის განვითარების პროგრამის დახმარებით. ამავე პროგრამის მეშვეობით გადავამზადეთ კომპიუტერული ტექნოლოგიების 15 ადგილობრივი სპეციალისტი, რომელთაც ასევე კენჭისყრის დღეს გამოვიყენებთ საიმისოდ, რომ ტექნიკა გამართულად მუშაობდეს. ჩვენს მიერ არჩეული საუბნო კომისიის 160 წევრისთვის, რომელთაც საკადრო რესურსად მოვიაზრებდით, წინასწარ ვუზრუნველვყავით ადმინისტრაციული კურსისა და სასწავლო ბანაკის გავლა. რვა იმიტირებული პროექტი განხორციელდა. ასევე, საინფორმაციო ხასიათის გაცნობითი შეხვედრა გავმართეთ ჩვენს ოლქში რეგისტრირებულ, არჩევნებში ჩართულ მხარეებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. 35-მდე ადამიანი ესწრებოდა ამ შეხვედრას და ყველა საინტერესო საკითხზე გვქონდა საუბარი.

— ***დამკვირვებელთა რეგისტრაციის კუთხით რა ვითარებაა ოლქში?***

— ამჟამად სამართლიანი არჩევნების განაცხადია ოლქში რეგისტრირებული. დამკვირვებლებს კენჭისყრამდე 5 დღით ადრე ეწურებათ რეგისტრაციის ვადა. ასე რომ, კიდევ ველოდებით რეგისტრაციის მსურველებს. ასევე, პატრიოტთა ალიანსმა 19 უბანზე მოითხოვა საკუთარი წარმომადგენელი ჰყოლოდა და ყველა მათგანი გავატარეთ რეგისტრაციაში.

— ***ბევრს აინტერესებს, რომელი მეთოდით მისცემენ ხმას გადასატანი ყუთით მოსარგებლე ამომრჩევლები?***

— გადასატან ყუთზე რეგისტრაციის ვადა 15 ოქტომბერს იწურება, ამიტომ მათი აღწერა ისევ მიმდინარეობს. მსურველებს, რომლებიც უშუალოდ უბანზე გამოცხადებას ვერ ახერხებენ, ან მათი ოჯახის წევრებს შეუძლიათ მიმართონ საარჩევნო უბნებს და მოითხოვონ სპეციალურ სიაში რეგისტრაცია. თუმცა, 16 ოქტომბრიდან თითოეული მათგანის მიზანშეწონილობაზე საუბნო და საოლქო კომისიები იმსჯელებენ და ამის მიხედვით შედგება სპეციალური სია გადასატანი ყუთებისთვის. თუ ამომრჩეველი ისეთ უბანზეა რეგისტრირებული, სადაც არჩევნები ელექტრონული წესით ტარდება, მაშინ გადასატან ყუთში თავსდება მისი ბიულეტენი, რომელიც მოთავსდება ჩარჩო კონვერტში, შემდეგ კი სპეციალური სამაგრებით დაიკეტება ისე, რომ მისი ფარულობა არ დაირღვას და გადასატანი ყუთი დაილუქება. მოგროვებულ ბიულეტენებს მიიტანენ შესაბამის უბანზე და არჩევნების დასრულების შემდეგ ასევე ფარულად, სათითაოდ მოათავსებენ ხმის დამთვლელ ელექტრონულ აპარატში. იმ სოფლებში, სადაც არჩევნები ძველი მეთოდით უნდა ჩატარდეს, გადასატანი ყუთიც და ბიულეტენებიც ძველი წესით იქნება და კონვერტში მოთავსების შემდეგ თავადვე ჩააგდებენ გადასატან ყუთში. ამას გარდა, დედოფლისწყაროს ოლქში 20-დან 11 საარჩევნო უბანი შშმ პირებისთვისაა მორგებული. 7 უბანზე მოწყობილია სპეციალური პანდუსი, ხოლო 4 ადაპტირებულია“.

ესაუბრა
ილია მარტყოფლიშვილი

საარჩევნო უბნები

დედოფლისწყაროს ოლქში სულ 20,323 ამომრჩეველია; ქალი – 10,572; კაცი – 9,751

№1. კულტურის სახლი კოსტავას ქ. N1. — 1271; ქალი - 553 კაცი - 718

№2. N3 ბაგა-ბაღი ნ. გომელაურის ქ. N18. — 2112; ქალი - 963; კაცი - 1149

№3. მე-4 ბაგა-ბაღი ნიკორციხის ქ. N111. — 1220; ქალი - 557; კაცი - 663

№4. ვაშლოვანის ნაკრძალის ადმინისტრაციული შენობა ბარათაშვილის ქ.N5. — 1192; ქალი - 559; კაცი - 633

№5. ზემო მაჩხაანი, ყოფილი სკოლა — 847; ქალი - 424; კაცი - 423

№6. ზემო მაჩხაანი, კულტურის სახლი — 895; ქალი - 438; კაცი - 457

№7. სოფ. მირზაანი, საჯარო სკოლა — 430; ქალი - 192; კაცი - 238

№8. სოფ. არბოშიკი, მუსიკალური სკოლა — 1039; ქალი - 509; კაცი - 530

№9. სოფ. ოზაანი, საბავშვო ბაღი — 813; ქალი - 392; კაცი - 421

№10. სოფ. გამარჯვება; საჯარო სკოლა — 1015; ქალი - 486; კაცი - 529

№11. სოფ. ხორნაბუჯი; ბაღის შენობა — 1845; ქალი - 858; კაცი - 987

№12. სოფ. სამრეკლო, კოლეჯი „აისი“ —1678; ქალი - 806; კაცი - 872

№13. სოფ ზემო ქედი, კულტურის სახლი; — 965; ქალი - 489; კაცი - 476

№14. სოფ. ზემო ქედი №2 სკოლა; — 799; ქალი - 373; კაცი - 426

№15. სოფ. არხილოსკალო, საჯარო სკოლა — 980; ქალი - 488; კაცი - 492

№16. სოფ. ქვემო ქედი, სპორტდარბაზი — 535; ქალი - 279; კაცი - 256

№17. ქვემო ქედის სკოლა — 765; ქალი - 405; კაცი - 360

№18. სამთაწყაროს სკოლა — 1092; ქალი - 559; კაცი - 533

№19. ფიროსმანის საჯარო სკოლა — 487; ქალი - 248; კაცი - 239

№20. საბათლოს საჯარო სკოლა — 343; ქალი - 173; კაცი - 170

კულტურის სახლთან მესერის მოწყობა მიმდინარეობს

ქალაქ დედოფლისწყაროში კულტურის სახლის ეზოს და მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებლების დეკორატიული მესერის მშენებლობა დაიწყო. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროს მერიიდან აცნობეს. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „რებილდი“ შეასრულებს.

მესერების განახლებას ჯამში 244 267 ლარი მოხმარდება. დეკორატიული მესერი და საცხოვრებელი ეზოების ჭიშკარი იგივე სტილისა და ხარისხის იქნება, რაც ბოლო ხანს ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალურ ქუჩებზე „განახლებული რეგიონების“ პროგრამის ფარგლებში დამონტაჟდა.

ტენდერში ორი კომპანია მონაწილეობდა შპს „რებილდი“ და შპს „აი სი ემ ჯი“ მონაწილეობდნენ, რის შემდეგაც სატენდერო კომისიამ გამარჯვებულად „რებილდი“ გამოაცხადა. როგორც მისი დირექტორი ვლადიმერ გაგუა განმარტავს, მესერების განახლების გარდა კომპანიას ევალება ქვაფენილისა და ბორდიურების მოწყობაც.

სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, კომპანიას სამთვიანი ვადა აქვს და სამუშაოები წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს.

„ბოლო წლებში ქალაქის ცენტრალური ქუჩები და ფასადები იმდენად გალამაზდა, დედოფლისწყარო პატარა ევროპულ ქალაქს დაემსგავსა. მთავარ გამზირებზე მოსახლეობას მესერი და რკინის ქუჩები ყველგან გამოუცვალეს. კულტურის სახლის ეზოსა და მიმდებარე ქუჩის მესერები კი ამ დრომდე მიუხედავია, არადა ბოლო წლებში ყველა დიდი ღონისძიება ამ ეზოში იმართება. კარგია, რომ ამ ადგილის კეთილმოწყობა დაიწყო, რადგან აქ უამრავი სტუმარი იყრის თავს და ქალაქის მთავარ ნაძვისხესაც სწორედ ამ ადგილას დგამენ. წლის ბოლომდე ეს ქუჩაც გალამაზდება,“ – ამბობენ ადგილობრივები. ***შირაქი***

პარტიების წინასაარჩევნო კამპანია

„ქართული ოცნება“ №41

წინასაარჩევნო კამპანიას აქტიურად განაგრძობს საქართველოს მმართველი პარტია“ ქართული ოცნება“. კახეთის რეგიონში, კერძოდ, ქალაქ თელავში გამართულ შეხვედრაზე ამომრჩეველს პარტიის ლიდერთან ირაკლი ღარიბაშვილთან და მთავრობის მეთაურთან ირაკლი კობახიძესთან ერთად პარტიის საპატიო თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა მიმართა:

მოგესალმებით, კახელებო, მივესალმები თელავს, გურჯაანს, ახმეტას, ყვარელს, სიღნაღს, ლაგოდეხს, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს! მოგესალმებით პატარა კახის, დიდი ერეკლეს შთამომავლებს, საქართველოს უანგარო პატრიოტებს!

ისტორიულმა ქარტეხილებმა კახელებს მებრძოლი სული და უდრეკი ბუნება ჩამოგიყალიბათ, მაგრამ გენიალური ფიროსმანის პერსონაჟებივით ნათელ და ნამდვილ ადამიანებად დარჩით, კახური მრავალჟამიერივით ძარღვიან, ღირსეულ ქალებად და კაცებად!

„მამული, ენა, სარწმუნოება - სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“ - წერდა ჩვენი ერის მამა, ამ კუთხის შვილი, ილია ჭავჭავაძე. კაცი, რომელმაც მთელი სიცოცხლე საკუთარი ქვეყნისა და ხალხისათვის ბრძოლას და მათ კეთილდღეობას მიუძღვნა.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, ჩვენი სამშობლო და ხალხი მსგავსი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა დამოუკიდებლობის პირობებშიც, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, როდესაც საქართველოს, ამ ქვეყნის შვილებისა და ყველაფერი ქართულის - ჩვენი ტრადიციების, ისტორიის, კულტურისა და რწმენის წინააღმდეგ არც მეტი არც ნაკლები - საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლება იბრძოდა. ხელისუფლება, რომელსაც, წესით, ეს ყველაფერი უნდა დაეცვა, თუმცა, უცხოელ პატრონებთან ერთად, ისინი პირიქით მოქმედებდნენ - ახალი ქართველის შექმნაზე მუშაობდნენ, ვისთვისაც უცხო იქნებოდა ის ეროვნული ფასეულობები, რომელზეც იზრდებოდნენ, იზრდებიან და მადლობა ღმერთს, მომავალშიც გაიზრდებიან ამ ქვეყნის შვილები.

ამ პროცესის ნაწილი იყო ჩვენი იდენტობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორის - ვაზისა და ქართული ღვინის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია, თანაც სად?! ღვინის სამშობლოში, სადაც ღვინო საკრალური სასმელია. სადაც კახელმა კაცმა ურთულეს ვითარებაში, გაუთავებელი ომების ქარ-ცეცხლში გამოატარა თავისი მთავარი განძი დაფასეულობა - ქართული ვაზი და ცივილიზაციას შემოუნახა ღვინის დაყენების უნიკალური მეთოდი, რომელიც დღეს იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი!

თუკი კახელის და ზოგადად, ქართველი ადამიანის შეურაცხყოფა და დამცირება გინდა, მისი იდენტობის ამ ერთ-ერთ მთავარ ნაწილს უხეშად უნდა შეეხო. ყველაზე კარგად ეს იმ ხალხმა იცის, ვინც დღეს კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ სახეს წარმოადგენს და ქართული ღვინის წინააღმდეგ მიმართულ, შეურაცხმყოფელ კამპანიას დღესაც აგრძელებს.

შეუძლებელია არ გავიხსენოთ ის შემზარავი დრო, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმმა კახელი კაცი იძულებული გახადა, რომ შვილივით ნაზარდი ვაზი, ჩვენი ფესვი, ჩვენი სულიერი სიმტკიცის წყარო საკუთარი ხელით გაეჩეხა. აღა მაჰმად ხანის შემოსევებს გადარჩენილი კახელი ადამიანი ალბათ ვერასოდეს იფიქრებდა, რომ ქართული ვაზის თანამედროვე მტრად პასპორტით ქართველი, გონებით კი უსამშობლო „ნაციონალური მოძრაობა“ მოევლინებოდა.

ღვინის სამშობლოში ამაზე უარესი თითქოს რაღა უნდა მომხდარიყო, რომ ქართველ კაცს, მითუმეტეს კახელს, ვაზის მოვლაზე აეღო ხელი, მაგრამ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაცილებით უარესიც შეძლო - ტერორითა და სიღარიბით დაძაბუნებულ ქვეყანას ომის უბედურება დაატეხა თავს.

უბედურება, რაც 2008 წლის აგვისტოში დატრიალდა, სწორედ მათ სინდისზეა. სწორედ „ნაციონალური მოძრაობაა“ პასუხისმგებელი ტრაგედიაზე, რაც ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლის და ტერიტორიების დაკარგვის ფასად დაგვიჯდა!

ამ ხალხმა ჯერ წაგებული ომი აზეიმა მოსახლეობას, შემდეგ კი ცნობილ რეზოლუციაზე ხელმოწერით და ტალიავინის დასკვნაზე დათანხმებით, საომარი მოქმედებების დაწყება თავად აღიარა! დღეს, არც ერთი მათგანი არ ცდილობს სამშობლოს ღალატის უარყოფას, რადგან იმდენად ნათელია მათი ნამოქმედარი, რომ უტიფრობით ცნობილი ომის პარტიის წევრები თითქოს შეეგუვნენ საკუთარ ტერიტორიაზე ომის გაჩაღებაში მხილებას.

ამ დანაშაულის უგულებელყოფა და შესაბამისი რეაგირების გარეშე დატოვება შეუძლებელია. ჩვენი ქვეყანა ვერასოდეს გაიმართება ნელში, თუ ამ ღალატს პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება არ მიეცემა. როგორც აღვნიშნე, პოლიტიკურად მათ უკვე გაიფორმეს ომის დაწყების დანაშაული ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ხოლო როდესაც აღარ არსებობს არანაირი ხელისშემშლელი ფაქტორი საერთაშორისო სამართლებრივ ინსტიტუტებში, არჩევნებში გამარჯვებისა და საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ, მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობის პროცესი დაიწყება.

სწორედ ამიტომ, ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, რომ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“, საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს და დღის წესრიგში დააყენოს „ნაციონალური მოძრაობის“ არაკონსტიტუციურად გამოცხადების, ამავდროულად კი უმკაცრესად გასამართლების საკითხი. პირობას გაძლევთ, რომ ამ პროცესს წინ ვერაფერი დაუდგება!

დღეს ყველა თვალნათლივ ვხედავთ, რომ ეს რადიკალური ძალა, მის გარშემო გაერთიანებული პოლიტიკური, არასამთავრობო თუ მედია ორგანიზაციები უცხო ძალის ინტერესს ატარებენ და ცდილობენ, რომ საქართველო ომის უბედურებაში გახვიონ. შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, 2008 წლის აგვისტოს ომი მონაგონი იქნება. ჩვენი ქვეყნისადმი მტრულად განწყობილი ძალები, ადგილობრივი აგენტურის ხელით საქართველოს რუკიდან გაქრობას უპირებენ. ემზადებიან იმისათვის, რაც ვერც ერთმა დამპყრობელმა ვერ მოახერხა საუკუნეების მანძილზე!

ამის პატიება როგორ შეიძლება?! როგორ შეიძლება ამაზე საკადრისი პასუხი არ მოვთხოვოთ ხალხს, რომელთა მთავარი მიზანი ხელისუფლებაში ნებისმიერ ფასად დაბრუნება და საქართველოს ომის ქარ-ცეცხლში გახვევაა?! ჩვენი ხელისუფლება თავს ინონებს იმით, რომ დღეს კახელ გლეხს შრომა უფასდება და მის მოსავალს რისკებისგან ვაზღვევთ, რომ ყურძნის ფასი გავზარდეთ და გასაღების მოშლილი, ტრადიციული ბაზრები აღვადგინეთ, რომმევენახეობისა და მეღვინეობის დარგის განვითარებაზე ვზრუნავთ და ამმადლიან კუთხეში არცერთი გოჯი მიწა აღარ რჩება დაუმუშავებელი, რადგან ნიჭიერ, გამრჯე ხალხს საკუთარი შრომით ღირსეული შემოსავლის მიღების საშუალება მიეცათ. თავს ვიწონებთ იმით, რომ კახელი კაცი დღეს წელშია გამართული, რადგან იცის - სახელმწიფო უმაგრებს ზურგს და მისი შრომა ფასდება, მთელი რიგი შეღავათებითა და სახელმწიფო პროგრამებით კი მაქსიმალურად ვუწყობთ ხელს.

თავს ვიწონებთ იმით, რომ 2012 წლიდან მოყოლებული, კახეთმა ახალი სიცოცხლე შეიძინა; მოწესრიგდა და განვითარდა ინფრასტრუქტურა, ვაშენებთ საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალებს და აეროპორტს, რამაც ამ კუთხის საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალის ზრდას შეუწყო ხელი. უძველესიისტორიის, კულტურისა და ულამაზესი ბუნების მქონე კახეთი საოცრად მიმზიდველი გახდა როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების მოქალაქეებისთვის და ამ კუთხის ტურისტული პოტენციალი არნახულად გაიზარდა.

რთველის შემდეგ კახელები წლის მოსავალს ლოცავთ. ყოველივე ზემოთქმული, რაზეც ვისაუბრე, მათ შორის ის, რომ დღეს სახელმწიფოს ამოსავალი წერტილი ადამიანია, ის რომ თქვენი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანია, ის რომ ერთად ავაშენეთ ქვეყანა, რომელშიც დაცულია

ადამიანის ყველა უფლება, აზრისა და სიტყვის თავისუფლება, გვაქვს გაჯანსაღებული სასამართლო, დამოუკიდებელი მედია, ხელშეუხებელი ბიზნესი და დემოკრატიაზე, სამართლის უზენაესობასა დაადამიანის ღირსების პატივისცემაზე დამყარებულ ქვეყანაში, თავისუფლად ვცხოვრობთ, სწორედ ის საშვილიშვილო მოსავალია, რომელსაც 2012 წლის 1 ოქტომბერს ერთად ჩავუყარეთ საფუძველი. მოსავალი, რომელსაც მოვუარეთ, ვზრდიდით და მის შედეგებს, კეთილდღეობისა და მშვიდობის სახით, დღეს საკუთარ თავზე ვიმკით.

დღეს ჩვენ ჩართულნი ვართ არა მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიაში, არამედ ბრძოლაში მშვიდობის, ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის, ჩვენი ტრადიციებისა და ფასეულობების დასაცავად, ამ ბრძოლის მთავარი ასპარეზი კი 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებია.

ესაა ბრძოლა ჩვენი დიდი ხნის ნატვრის ასასრულებლადაც - კვლავ გაერთიანებული ვიხილოთ ჩვენი სამშობლო, თუმცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით, შერიგებისა და ურთიერთშენდობის საფუძველზეა შესაძლებელი!

ამ საკითხთან დაკავშირებით უცხო ქვეყნების აგენტებისა და კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ დამოკიდებულება ნათლად გვიჩვენებს მათ რეალურ მიზანს — საქართველო მუდმივი კონფლიქტისა და დაპირისპირების რეჟიმში იყოს. სწორედ ამიტომ, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის მზადება, პირველ რიგში, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაზე გადის.

26 ოქტომბერს, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, „ქართული ოცნების“ გუნდს გვაქვს მზაობა, რომ საჭირო მომენტში, ქვეყანა საკონსტიტუციო მოწყობის ისეთ მოდელზე გადავიყვანოთ, რომელიც საშუალებას მოგვცემს ავიხდინოთ ჩვენი მრავალწლიანი ოცნება - კვლავ ვიხილოთ ერთიანი და ძლიერი საქართველო!

თქვენი, კახელების ხმა კოსმოსში ისმის და დარწმუნებული ვარ, ხმამაღლა გაისმება 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზეც, სადაც ქუდზე - კაცი გამოხვალთ და უალტერნატივო არჩევანს გააკეთებთ: ომსა და მშვიდობას, ფსევდო-ლიბერალურ ღირებულებებსა და ეროვნულობაზე, ოჯახზე, რწმენასა და დამოუკიდებლობაზე დაფუძნებულ ფასეულობებს შორის, ჩვენი ქვეყნის ღირსეულ ევროპულ მომავალსა და იმ მიუღებელ მოცემულობას შორის, რაც რადიკალურ ოპოზიციას და უცხოელ აქტორებს ევროპულობად სურთ რომ გაასაღონ. კახელები პირდაპირი ხალხი ხართ, მიკიბულ-მოკიბული საუბარი არ გიყვართ, ამიტომ მეც პირდაპირ გეტყვით - 26 ოქტომბერს „ქართულ ოცნებას“ უნდა დაუჭიროთ მხარი! მწამს, რომ ერეკლე მეფის მაგინებლების ადგილი ჩვენს საზოგადოებაში არ არის. სწორედ ერეკლე მეფის ღირსებისთვის, მისი სახელით უმკაცრესი პასუხი უნდა გასცეთ კოლექტიურ „ნაციონალურ მოძრაობას“. მხოლოდ მშვიდობით, მხოლოდ ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ! მრავალჟამიერ ისმოდეს ჩვენი კეთილი, უტეხი ხმა ჩვენს ქვეყანასა და მთელს მსოფლიოში!

***

11 ოქტომბერს დედოფლისწყაროში გაიმართა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი კონცერტი. მაყურებლის წინაშე წარსდგნენ მომღერლები: ზუკა ხუციშვილი და ბენდი, თამუნა ამონაშვილი, აჩიკო ნიჟარაძე, ნუცა ქირია, თემურ თათარაშვილი, რომლებმაც ყველასათვის ნაცნობი ჰიტები შეასრულეს.

კონცერტი მიჰყავდათ პაატა გულიაშვილსა და ნიკა არაბიძეს.

სცენიდან გაკეთდა პოლიტიკური განცხადებებიც, არტისტებმა მმართველ გუნდს მხარდაჭერა გამოუცხადეს და აქცენტი მშვიდობაზე გააკეთეს.

კოალიცია ცვლილებებისთვის №4

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ქართულ პოლიტიკურ ველზე ახალი პოლიტიკური გაერთიანება შეიქმნა-„კოალიცია ცვლილებებისთვის“. ისინი ამომრჩეველს საკუთარ პლატფორმას რეგიონებში შეხვედრებზე აცნობენ.

ახალ პოლიტიკურ გაერთიანებას რამდენიმე ლიდერი ჰყავს, მათ შორის ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრები-ნიკა მელია და ნიკა გვარამია.

/გაგრძელება გვ. 7/

ქვემო ქედში ვაჟა-ფშაველას ძეგლი გაიხსნა

სოფელ ქვემო ქედის ცენტრში ვაჟა - ფშაველას ახალი ძეგლი გაიხსნა. სამშენებლო სამუშაოები სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თანხით დაფინანსდა. მიმდინარე წლის თებერვალში სოფლის კრებაზე სწორედ ქვემო ქედელებმა გადაწყვიტეს, რომ პრიორიტეტულ საკითხად სწორედ ვაჟას ძეგლის განახლება დასახელებულიყო და დაფინანსება სწორედ ამ მიმართულებით დახარჯულიყო.

ამავე ადგილას ვაჟას ძეგლი მანამდეც იდგა, თუმცა უფრო მცირე ზომის და მარმარილოს ქვისგან გამოთლილი. ძეგლი მრავალი წლის განმავლობაში სოფლის კულტურის სახლში ინახებოდა, რამდენიმე წლის წინ კი საზეიმოდ დაიდგა. ამჯერად მომცრო ზომის ძეგლი გაცილებით დიდი ბრინჯაოს მონუმენტით ჩანაცვლდა. ახალი ბიუსტის ავტორია გურჯაანელი მხატვარი ზაურ ჯოხაძე. გაზეთი „შირაქი“ ხელოვანს გაესაუბრა.

ზაურ ჯოხაძე ***(მონუმენტის ავტორი):*** „დიდი ხანია მაინტერესებდა ამ თემაზე მუშაობა და ძალიან გამიხარდა, რომ ამის შესაძლებლობა დედოფლისწყაროში მომეცა. ჩემთვის პატივი იყო ვაჟას ძეგლზე მუშაობა. 1989 წელს მქონდა გაკეთებული ვაჟა, ოღონდ ის პორტრეტული ქანდაკება იყო და არა ძეგლი. შემდეგ 90-იან წლებში, გამსახურდიას დროს დედაქალაქში მიმდინარე კონფლიქტის შედეგად ჩემს სახელოსნოში ხანძარი გაჩნდა და ყველაფერი გამინადგურდა, მათ შორის ნამუშევრებიც.

დედოფლისწყაროს სოფელ ქვემო ქედში არსებული ვაჟას მარმარილოს ძეგლი ცოტა დაზიანებული იყო. როცა დამიკავშირდნენ თავდაპირველად მის რესტავრაციას ფიქრობდნენ, მაგრამ შეუძლებელია ისე აღადგინო, რომ კვალი დაფარო. მითუმეტეს, გარე სივრცისთვის ეს დიდი რისკი იყო. ამიტომ ერთობლივად გადავწყვიტეთ, რომ ახალი და გაცილებით დიდი ზომის ძეგლი გამეკეთებინა. ასევე, ლითონის უნდა ყოფილიყო. მოგეხსენებათ, ბრინჯაო ბევრად უკეთესია, ფაქტობრივად ამ მასალას გარე სივრცეში პრობლემები არ აქვს. დავიწყე მუშაობა და 3 თვე დამჭირდა შესაქმნელად. ესკიზი, მოდელი ჩემი შედგენილია. შემდეგ რუსთავში, სპეციალურ ქარხანაში ჩამოვასხით ჩემი ზედამხედველობის ქვეშ.

ზოგადად, საკუთარი ნამუშევრით ავტორი მთლად კმაყოფილი არ უნდა

ძველი ბიუსტი

იყოს და არც ვართ ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევაში კმაყოფილი ნამდვილად ვარ. 73 წლის კაცი ვარ, დიდი გამოცდილება დამიგროვდა და მგონია, რომ რა ამოცანაც გვქონდა, ის 90%-ით შევასრულე. სამებისა და მახათას ტაძრებში შიდა და გარე სივრცეში რაც მარმარილოს ჩუქურთმები და ქანდაკებებია, ყველა ჩემი ჯგუფის მიერაა გაკეთებული. წარმოშობით გურჯაანიდან ვარ, გარკვეული კავშირები დედოფლისწყაროსთან მაქვს. ამ შემთხვევაში ჩემი დამკვეთი იყო ადგილობრივი კომპანია „ტექნოსერვისი1“, რომელმაც ასევე ძეგლის სამონტაჟო სამუშაოები შეასრულა. წინა მონუმენტთან შედარებით ახლა პედესტალიც შედარებით დიდი და ფართეა, ამიტომ თავად ძეგლიც დიდი ზომის ჩამოისხა“.

ზემო და ქვემო ქედში ვაჟა-ფშაველას შთამომავლები ისევ ცხოვრობენ. გაზეთი „შირაქი“ ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში იუწყებოდა, რომ ვაჟა-ფშაველას ძმისშვილი საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ივანე რაზიკაშვილი დედოფლისწყაროში მიღვაწეობდა. სწორედ მისი შვილები და შთამომავლები სახლობენ ამ სოფლებში.

„შირაქი“ ვანო რაზიკაშვილის ქალიშვილს, მარიამ რაზიკაშვილს ესაუბრა.

მარიამ რაზიკაშვილი ***(ვაჟა-ფშაველას ძმის შვილიშვილი):*** „სასიამოვნოა, რომ ქვემო ქედში ახალი ძეგლი დაიდგა. საკმაოდ კარგი გამოვიდა, ძალიან მომწონს. წინა ბიუსტთან შედარებით უფრო დიდია და რა თქმა უნდა ლითონის ბევრად უფრო ხარისხიანია. გვინდა ადგილობრივებსაც მადლობა ვუთხრათ, რომ პრიორიტეტად ეს საკითხი აირჩიეს. „ვაჟაობა“ პირველად შარშან ჩატარდა და დავესწარი ამ ღონისძიებას. წელს, სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო ვერ მოვახერხე. ამ წლების მანძილზე ასეთი რამ არასოდეს ჩატარებულა. მახსოვს, ერთხელ, ქვემო ქედის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება შედგა და იქ ვაჟაც დაფასდა, როგორც დიდი ღვაწლის მქონე შემოქმედი, მაგრამ უშუალოდ ვაჟასადმი მიძღვნილი დღეობა ქვემო ქედში არასოდეს გამართულა. ამიტომ ახლა ძალიან სასიამოვნოა ჩვენთვის, როცა პირდაპირ „ვაჟაობა“ დაერქვა და ყოველწლიურად შედგება. ეს ნიშნავს, რომ აქაურები პატივისცემას გამოხატავენ. მთელი ქვეყანა აფასებს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია და სხვა ემოციაა, როცა ქვემო ქედისგან ვხედავთ ამას. მეამაყება და ბედნიერი ვარ. მადლობლები ვართ ყველასი, სოფლის ხელმძღვანელობის, რაიონის ხელისუფლების და ყველასი, ვინც ჩართული იყო ამ საქმეში“.

ილია მარტყოფლიშვილი

„თავის ჩოხაზე უფრო ღარიბი“ — ვაჟაობა 2024

/პირველი გვერდიდან/

ჩემზე უფროს თაობას კარგად ახსოვს, როგორ ჩამოდიოდა მთიდან ეს დევ-ვაჟკაცი, როგორ მოინახულებდა მიწურებში მცხოვრებ ფშავლებს, როგორ ამხნევებდა მათ. აქ ჩამოსახლებულ ფშავლელებს გამოჰყვათ მისდამი უდიდესი პატივისცემა, პატივისცემა მთების, პოეზიის. ყველა თაობას უნდოდა, ალბათ, ასეთი დღესასწაულის მოწყობა, მაგრამ მოგეხსენებათ კომუნისტების დროს დიდად არავის ეცალა აქ მსგავსი ღონისძიებისთვის. ამ ადგილს არ ჰქონდა გზა, არ ჰქონდა წყალი, არ ჰქონდა გაზი, 2012 წლის შემდეგ კი იტყვით, რომ სხვაგან მოხვდით. იმიტომ, რომ ახლა გაზიც გვაქვს, წყალიც, გზაც, განათებაც და რაც კი სოფელს სიკეთე შეიძლება ჰქონდეს, ყველაფერი. მართალია, ჯერ მხოლოდ მეორე წელია რაც ეს სახალხო დღესასწაული იმართება, მაგრამ გასულ წელსაც აღვნიშნე, რომ აქ „ვაჟაობა“ ყოველთვის გაიმართება. თაობები იზრდებიან და უფრო ლამაზ დღესასწაულებს ჩაუყრიან საფუძველს“.

მაცაცო ნარიმანიძე: „გილოცავთ „ვაჟაობის“ დღესასწაულს. როდესაც გავიგე, რომ „ვაჟაობას“ აღნიშნავდით, ძალიან გამიხარდა და ამავდროულად, გამიკვირდა კიდეც. ეს დასაფასებელიცაა, რადგან ჩვენთვის, დუშელებისთვის ვაჟა დიდებული და სა-

მარიამ ქავთარაძე, „გოგონა აღმოჩენა“ დეკლამატორი

ამაყოა. მიხარია, რომ ამ სახალხო დღესასწაულს საფუძველი ჩაეყარა და მას უკვე მეორედ ზეიმობთ. მინდა, მოგილოცოთ „ვაჟაობა“. გარდა ამისა, გილოცავთ პედაგოგის საერთაშორისო დღეს, ვულოცავ საქართველოში და მსოფლიოში ყველა პედაგოგს. თქვენზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი თაობების სწორად აღზრდა, თქვენ ხართ სწორედ ჩვენი ქვეყნის მომავლის სათავეებთან. დიდი მადლობა მოწვევისთვის, ყველას წარმატებას გისურვებთ“.

ღონისძიებაზე ქართული ჭიდაობის და ძიუდოს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის სიგელი გადაეცა ნიკოლაოს ილიადისს. „საპატიო ქვემო ქედელის“ წოდება კი ამაგდარ პედაგოგებს - **გულნარა ტვილდიანს** და **ასმათ ხომასურიძეს** მიენიჭათ.

ნიკოლაოს ილიადისი: „ძალიან მიხარია ჩემი თანასოფლელების გვერდით „ვაჟაობის“ სახალხო დღესასწაულის აღნიშვნა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია საზღვარგარეთ ვარ წასული, ამაღელვებელია ასეთი პატივისცემა და დაფასება ჩემი მშობლიური რაიონის მხრიდან. შესაფერისი სიტყვები არც მაქვს, რომ ჩემი ემოციები გადმოვცე და მადლიერება გამოვხატო. აქ დავიბადე, აქ გავიზარდე, აქ დავიოდი სკოლაში, აქ ვისწავლე, ყველა ჩემს საქმიანობას აქედან ჩაეყარა საფუძველი. მოხარული ვარ, რომ დღეს, თქვენს გვერდით ვარ, ერთად ვართ. დიდი მადლობა ყველაფრისთვის. განსაკუთრებით რაიონის ხელმძღვანელობას, რომელმაც ეს საპატიო ჯილდო, საპატიო წოდება მომანიჭა“.

შეგახსენებთ, სახალხო დღესასწაული ,,ვაჟაობა“ წელს მეორედ აღინიშნა. ღონისძიების ინიციატორი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილია.

პ.ს ვახსენებთ ვაჟას და „დაჭრილი არწივი“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ხმელი წიფელი“, „სტუმარ-მასპინძელი“ გაგვახსენდება. ვახსენებთ ვაჟას და მუდამ შეყვარებული, ბუნების მგოსანი, მუდამ საქმისთვის დამაშვრალი ადამიანი გაგვახსენდება. ვახსენებთ ვაჟას და ქართული პოეტური მეტყველების ჩარჩოების, კერძოდ დიალექტური და ძველი ქართული ფორმების შემოტანით ლექსიკის გამამდიდრებელი ადამიანი გაგვახსენდება. ვახსენებთ ვაჟას და ერთ ჭრელ ხურჯინში რომ ეტეოდა ყველა მისი სიტყვა, ფიქრი და სათქმელი ის ჭეშმარიტი მამულიშვილი გაგვახსენდება.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი
ხათუნა ბენაშვილი

5%-იანი ბარიერი - რა უნდა ვიცოდეთ მასზე

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, საარჩევნო სისტემაში ორი მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა. საქართველოს ისტორიაში პირველად, მაჟორიტარებს აღარ ავირჩევთ და წლევანდელი არჩევნები სრულად პროპორციული წესით ჩატარდება.

გარდა ამისა, 2020 წლისგან განსხვავებით, როცა პარლამენტში მოსახვედრად პარტიებს 1%-იც ჰყოფნიდათ, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე 5%-იანი ბარიერი იმოქმედებს.

წესი მარტივია - საიმისოდ, რომ პარტია პარლამენტში მოხვდეს, ხმების მინიმუმ 5% უნდა აიღოს. შემდეგ კი პარლამენტის 150 მანდატი იმ პარტიებზე გადანაწილდება, ვინც ბარიერი გადალახა.

რა მოუვა შენს ხმას,თუ შენი პარტია ბარიერს ვერ გადალახავს?

ნებისმიერ სისტემაში, სადაც საარჩევნო ბარიერი მოქმედებს, ამომრჩეველთა ნაწილი ისეთ პარტიებს აძლევს ხმას, რომლებიც ბარიერის გადალახვას ვერ ახერხებენ და პარლამენტს გარეთ რჩებიან.

ამას **დაკარგულ ხმებს** უწოდებენ - ადამიანი არჩევნებზე წავიდა, სასურველ პარტიას ხმა მისცა, მაგრამ მისი არჩევანი პარლამენტში არ აისახა.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, პარლამენტის 150 მანდატი იმ პარტიებზე გადანაწილდება, ვინც 5%-იანი ბარიერი გადალახა, ხოლო მანდატების რაოდენობა გამოითვლება მხოლოდ ამ პარტიების ხმების ჯამის გათვალისწინებით. აი, რა წერია კოდექსში:

„პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 150-ზე და იყოფა ყველა იმ პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების (არ ითვლება გაბათილებული ბიულეტენები - რ.თ.) 5 პროცენტი მაინც მიიღეს“.

გამოდის, რომ თუ არჩევნებზე ხმას ისეთ პარტიას მისცემ, რომელიც ბარიერს ვერ გადალახავს, შენი ხმა მნიშვნელობას მთლიანად კარგავს.

ასეთი სცენარის თავიდან ასაცილებლად, მათი ხმა რომ არ გაიფლანგოს, უცხო ქვეყნებში ამომრჩევლები ზოგჯერ ტაქტიკურ ხმის მიცემას მიმართავენ. ეს კი ასე მუშაობს - პირველი პარტია შეიძლება მეორეზე მეტად მოგწონდეს, მაგრამ ეჭვი გეპარება, რომ პირველი ბარიერს გადალახავს. ასეთ დროს ხმას აძლევ მეორეს, რადგან პირველის გარდა, ყველა დანარჩენ პარტიას გირჩევნია და არ გინდა, შენი ხმა დაიკარგოს.

ვის (არ) აწყობს ბარიერი?

ამ შეკითხვასაც მარტივი პასუხი აქვს - პატარა პარტიებს ურჩევნიათ, ბარიერი რაც შეიძლება დაბალი იყოს, ასე ნაკლები იქნება რისკი, რომ პარლამენტს გარეთ დარჩებიან.

მეორე მხრივ, ბარიერით ხეირობენ პარტიები, რომლებსაც მისი გადალახვა არ უჭირთ - რაც უფრო ნაკლები პარტია შევა პარლამენტში, მით უფრო მეტ მანდატს მიიღებენ ისინი, ვინც ბარიერს გადალახავს.

ასეთ ვითარებაში შეიძლება, პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ სწორედ ბარიერის ხარჯზე მოიპოვოს მანდატების უმრავლესობა ისე, რომ ხმების ნახევარზე მეტი აიღოს - თუ ხმების დიდი ნაწილი გაიფანტება, მანდატები პარლამენტში შესულ პარტიებზე გადანაწილდება. ამ შემთხვევაში, დამატებით მანდატებს მიიღებს პირველ ადგილზე გასული ძალა და შეიძლება, უმრავლესობისთვისაც ეყოს.

როგორ იცვლებოდა ბარიერი არჩევნებიდან არჩევნებამდე?

დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდეგ, საქართველოში საპარლამენტო არჩევნების სისტემა მუდამ იცვლებოდა, შესაბამისად, იცვლებოდა ბარიერის რაოდენობაც.

ამას დიდი გავლენა ჰქონდა პარლამენტის შემადგენლობაზე და შედეგად, პოლიტიკურ ლანდშაფტზე.

მაგალითად, 1992 წელს არჩევნები 2%-იანი ბარიერით ჩატარდა და მაშინ ყველაზე ჭრელი - 24 პარტიისგან შემდგარი პარლამენტი მივიღეთ.

1995 წელს, კონსტიტუციის მიღების შემდეგ, საპარლამენტო არჩევნებში ბარიერი 5%-მდე გაიზარდა, ხოლო 1999 წლიდან 2008 წლის ჩათვლით 7%-იანი ბარიერი მოქმედებდა.

გაზრდილმა ბარიერმა პარტიებს საპარლამენტო ცხოვრებაში მონაწილეობა გაუძნელა. 1995 და 1999 წლებში ბარიერი სამმა სუბიექტმა გადალახა, 2004-ში - სამმა, 2008 წელს კი - ოთხმა.

2012 და 2016 წლებში არჩევნები კვლავ 5%-იანი ბარიერით გაიმართა. 2012 წელს პარლამენტში მხოლოდ ორი ძალა - „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ მოხვდა, 2016 წელს კი მათ დაემატა „პატრიოტთა ალიანსი“, რომელმაც მცირედით გადალახა ბარიერი და პირველად შევიდა პარლამენტში.

ბოლო, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები კვლავ ახალი სისტემით ჩატარდა. „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარული სისტემა ბოლომდე არ გაუქმა. სანაცვლოდ, მაჟორიტარების რაოდენობა შეამცირა, 120-მდე გაზარდა პროპორციული წესით არჩეული პარლამენტარების რაოდენობა და ბარიერი, ფაქტობრივად, გააუქმა - ყველა პარტია, რომელიც 1%-ს მაინც მიიღებდა, პარლამენტში მოხვდებოდა.

შედეგად, ამჟამინდელი, მეათე მოწვევის პარლამენტი, 1992 წლის შემდეგ ყველაზე უფრო მრავალპარტიულია - წინა არჩევნების შემდეგ ცხრა პარტიამ მიიღო საპარლამენტო მანდატი.

უნდა გვქონდეს ბარიერი?

ამ შეკითხვას უნივერსალური პასუხი არა აქვს. ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ სისტემებში, სადაც არჩევნებს პროპორციული წესით ატარებენ, ბარიერი განსხვავებული სიდიდისაა.

ეს კი, თავის მხრივ, განსხვავებულ პოლიტიკურ ლანდშაფტს ქმნის. როგორც საქართველოს სხვადასხვა მოწვევის პარლამენტის მაგალითზე განვიხილეთ, დაბალი ბარიერი უკეთეს პოლიტიკურ წარმომადგენლობას უზრუნველყოფს, მაღალი ბარიერი კი - უფრო კონსოლიდირებულ სისტემას.

სადაც ბარიერი დაბალია ან არ მოქმედებს, ნაკლები ხმა იკარგება, პოლიტიკური სპექტრი უფრო დანაწევრებული და ნიშურია. ასეთ პირობებში, მეტი შანსია, რიგითმა ამომრჩეველმა თავის პოლიტიკურ გემოვნებასთან ყველაზე ახლოს მყოფი პარტია მოძებნოს.

თუმცა ამას მინუსიც აქვს - პარლამენტში ბევრი პარტიის ყოფნა წარმოშობს კოალიციებისა და მუდმივად კონსენსუსის ძიების აუცილებლობას. ეს არსად არაა ადვილი საქმე - პარტიებს ყველაზე განვითარებულ დემოკრატიებშიც უჭირთ ხოლმე შეთანხმება, რაც პოლიტიკური კრიზისების - კოალიციების დაშლის თუ ვადამდელი არჩევნების საფუძველი ხდება.

საბოლოოდ, საარჩევნო სისტემის არქიტექტორების მთავარი ამოცანა ამ ორ მიზანს - ფართო წარმომადგენლობასა და პოლიტიკურ სტაბილურობას შორის ოქროს შუალედის პოვნაა.

იმას, თუ სად გადის ეს ოქროს შუალედი, ადგილობრივი პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით წყვეტენ. მაგალითად, ნიდერლანდში, სადაც საქართველოს მსგავსად 150 პარლამენტარს ირჩევენ, ერთი მანდატისთვის ხმების 0.67%-ის მიღებაც საკმარისია. ბოლო არჩევნების შედეგად ნიდერლანდის პარლამენტში 15 პარტია მოხვდა. მმართველ კოალიციაში, რომლის ჩამოყალიბებას შვიდ თვეზე მეტი დასჭირდა, ახლა ოთხი პარტიაა.

მეორე მხრივ, გერმანიაში, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ფედერალური რესპუბლიკის შემქმნელებს ვაიმარის რესპუბლიკის დროინდელი პოლიტიკური ფრაგმენტაციის თავიდან არიდება სურდათ, 5%-იანი ბარიერი შემოიღეს. ბუნდესტაგში ახლა ექვსი პარტიაა, გერმანიის მთავრობაში კი - სამი. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს მეორე შემთხვევაა, როცა მმართველ კოალიციაში ორ პარტიაზე მეტია.

საქართველოს კოალიციური მთავრობა ჯერ არ ჰყოლია, თუმცა, პროპორციულ სისტემაზე გადასვლა ამის ალბათობას მხოლოდ ზრდის, მიუხედავად იმისა, რომ იმოქმედებს 5%-იანი ბარიერი.

გაგვიღიმეთ, პოლიტიკოსებო!

პოლიტიკოსების სახის გამომეტყველება, რომელსაც ამომრჩევლები ძირითადად ტელევიზორის ეკრანზე ვხედავთ, გავლენას ახდენს ამ პოლიტიკოსების მიმართ ჩვენს დამოკიდებულებაზე.

ფსიქოლოგებმა ჩაატარეს გამოკვლევები ამის შესასწავლად, თუ როგორ მოქმედებს მაყურებლის განწყობაზე ტელეეკრანზე ნანახი სახის გამომეტყველება.

აღმოჩნდა, რომ აზრი პოლიტიკოსების შესახებ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი გამომეტყველება ჰქონდა მას ძირითადად ტელეგადაცემაში. ყველაზე უკეთ ეს ეფექტი იმ შემთხვევაში შეიმჩნეოდა, როდესაც საქმე შედარებით ნაკლებად ცნობილ პოლიტიკოსს ეხებოდა და მაყურებელს მის შესახებ მყარი აზრი არ გააჩნდა.

ერთერთი ექპერიმენტის დროს, ცდისპირების სამ ჯგუფს უჩვენეს კლიპი აშშ-ს პრეზიდენტის რონალდ რეიგანის შესახებ. ერთმა ჯგუფმა ნახა სიუჟეტები, სადაც რეიგანს ბედნიერი და თავდაჯერებული გამომეტყველება ჰქონდა. მეორე ჯგუფის კლიპებში პრეზიდენტს ნეიტრალური გამომეტყველება ჰქონდა, მესამე შემთხვევაში მაყურებელი ეკრანზე განრისხებულ სახეს ხედავდა.

აღმოჩნდა, რომ განსხვავებული ემოციების გამომხატველი გამომეტყველება არავითარ გავლენას არ ახდენდა იმ მაყურებელთა განწყობაზე, რომელიც უკვე ექსპერიმენტამდე რეიგანის მიმართ მკვეთრად უარყოფით ან დადებითი დამოკიდებულება ჰქონდათ ჩამოყალიბებული, ხოლო მათ ვინც თავიდან ნეიტრალურად იყო განწყონილი პრეზიდენტის მიმართ, ეცვლებოდათ აზრი, იმისდა მიხედვით თუ რომელ კლიპს უყურებდნენ. „ბედნიერი“ პრეზიდენტის მნახველთა დამოკიდებულება მის მიმართ ნეიტრალურიდან დადებითისკენ იხრებოდა, ხოლო ვინც „მრისხანე“ ან „გულგრილ“ რეიგანს უყურა, მათი დამოკიდებულება უარყოფითით შეიცვალა.

მეორე ექსპერიმენტით იგივე მკვლევარებმა შეისწავლეს აშშ-ში 1984 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეთა ნეიტრალური ან ბედნიერი სახის გამომომეტყველების გავლენა ამომრჩეველზე. ექპერიმენტის შედეგად რამდენიმე საინტერესო დასკვნა მიიღეს. აღმოჩნდა, რომ ამომრჩევლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კანდიდატის მიერ ემოციის გამოხატვის სიმძაფრეს, ექსპრესიულობას. ამ ნიშნით ყველაზე მეტად რეიგანი და ჰარტი გამოირჩეოდნენ. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ნაკლებად ცნობილი კანდიდატების შემთხვევაში მათი გამომეტყველება უპირველეს მნიშვნელობას იძენს ამომრჩევლის დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად. თუმცა, საზოგადოდ, კლიპის ყურება ამძაფრებს მაყურებლის დამოკიდებულებას იმისდამიხედვით თუ რომელ პარტია ეკუთვნის იგი. თუ კლიპში ნაჩვენები კანდიდატი მისი პარტიიდანაა, მაშინ დამოკიდებულება დადებითისაკენ მატულობს, ხოლო თუ არა პირიქით - უარყოფითი ხდება, რასაც იმით ხსნიან, რომ ამომრჩეველი თავს ვალდებულად სთვლიდა დაეცვა საკუთარი პარტიის ინტერესები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ ნიშანს ანუ პარტიულ კუთვნილებას თითქმის არ მოუხდენია გავლენა პარტიის პოპულარობაზე. ყველაზე ექსპრესიული კანდიდატი ნაკლებად ცნობილ კანდიდათა შორის თავიდან ყველაზე მეტი სიმპატიით სარგებლობდა ამომრჩეველთა შორის. რასაც მისი განსაკუთრებული გამომხატველობითი უნარებით ხსნიან. ალბათ, რეიგანის თავის პოპულარობას საპრეზიდენტო მოღვაწეობის პერიოდში ნაწილობრივ იმ არაჩვეულებრივ გამომხატველობითი უნარს უნდა უმადლოდეს, რომელიც მას სამსახიობო კარიერის დროს შეიძინა.

ამგვარად, გამოკვლევები უჩვენებენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სხეულის ენას ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. კვლევის შედეგები კი ადასტურებენ, რომ გამომეტყველება გავლენას ახდენს ჩვენს აზრზე, დამოკიდებულებებსა და ქცევაზე, რაც ხშირად არაცნობიერადაც ხდება.

გესიკ გიგოლაშვილი
ფსიქოლოგი

პარტიების წინასაარჩევნო კამპანია

/მეოთხე გვერდიდან/

გვარამიამ გააკეთა განცხადება, რომ არ იქნება კოალიციის საპარლამენტო სიაში, რომელიც ახსნა თავისი მოტივაციით - არსებობდეს პოლიტიკაში მეტი სივრცე ახალი ადამიანებისათვის, ადამიანებისათვის რომლებიც არასდროს ყოფილან პოლიტიკა-

ში, მითუმეტეს მართვასა და ხელისუფლებაში. მისი ეს მოტივაცია და ხედვა არსებობდა ჩვენი პარტიის "ახალის" ჩამოყალიბების ეტაპზე, როგორც საფუძველი პარტიის შექმნის, ასე დაიწყო პარტია, ასე მოენყო მისი სტრუქტურა, ასე მოვედით აქამდე და ასევე ერთად გავაგრძელებთ სვლას წინ.

თუ რამე სჭირდება დღეს ქართულ პოლიტიკას, სჭირდება სიტყვისათვის ფასის და ხალხისათვის რწმენის დაბრუნება; სჭირდება ხალხი, რომელსაც წარსული კი არ ჰყოფს, მომავალი აერთიანებს.

კოალიცია ცვლილებისათვის საარჩევნო ნომრით 4, არა მხოლოდ ამბობს ამას, არამედ ადასტურებს ქმედებით, ნიკა ამას ადასტურებს თავისი საქციელით. შეუძლებელია პატივი არ ვცე მის ამ გადაწყვეტილებას და არ მივიჩნიო ქართული პოლიტიკისათვის მაგალითის მიცემად:

როგორც სიტყვის და დაპირების საქმედ ქცევა, როგორც ახალი მომავალით დაკავშირებული ადამიანებისათვის სივრცის გახსნა და როგორც „მე“- ს ნაცვლად "ჩვენ"- ის ყველაზე წინ დაყენება ამ უნიშველოვანეს ბრძოლაში.

ჩვენ არ ვიბრძვით ვინმეს სადმე ჩასანაცვლებლად, გვინდა სისტემის ფუნდამენტური ცვლილება და ყოველთვის მზად ვართ, ეს ცვლილება დავიწყოთ საკუთარი თავით, ვიდგეთ წინ ნებისმიერ ბრძოლაში და ვიდგეთ ყველაზე უკან, ამბიციებისა და ეგოების ჭიდილში. ჩვენ სულ მალე წარვადგენთ საპარლამენტო სიას, სადაც ადამიანები ხვდებიან ცოდნით, კვალიფიკაციით, ბრძოლით, გამოცდილებით.

საქმით ვადასტურებთ, რომ გზა პოლიტიკისა და პარლამენტისაკენ უნდა გადიოდეს, ღირსებასა და პრინციპულობაზე და არა უღირსობასა და უპრინციპობაზე, ფულსა და კულუარულ მოლაპარაკებაზე, როგორც, სამწუხაროდ, ბევრი მიეჩვია ქართულ პოლიტიკაში.

მომავალი თქვენია! პოლიტიკოსი უნდა ჩადგეს ხალხის სამსახურში და არა პირიქით! ნიკას სვლა კი ახალი ბრძოლის და ამ ქვეყანაში ახლებური პოლიტიკის დასაწყისია, რომელიც აუცილებლად უკეთეს, ევროპულ პოლიტიკურ სისტემამდე მიგვიყვანს!- აცხადებს ნიკა მელია.

„ყველას აქვს თავისი პარტიული არჩევანი, მაგრამ ყველანი ერთად უნდა ვამბობდეთ იმას, რაც არის, ჩემი აზრით, ყველაზე სწორი - ჩვენ მზად ვართ, ურთიერთკამათის, ურთიერთდაპირისპირების გარეშე, ქვეყანა გამოვიყვანოთ იმ კრიზისიდან, რომელშიც დღეს იმყოფება, და ჩვენ ამის ვალდებულება გვაქვს ჩვენი ამომრჩევლის, ჩვენი ისტორიისა და ჩვენი მომავალი თაობების წინაშე. პრეზიდენტის როლი შეუფასებელია ამ თვალსაზრისით და ძალიან დიდი მადლობა მას, რომ ასეთი რამ აიღო საკუთარ თავზე." - | ნიკა გვარამია

„ერთიანობა ნაციონალური მოძრაობა“ №5

წინასაარჩევნო კამპანიას მართავს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

კამპანია, ძირითადად, აგებულია არსებული ხელისუფლების კრიტიკაზე, ხოლო სლოგანია- „საქართველო ბიძინას გარეშე“! ნაციონალური მოძრაობის წევრებმაასევე დაიწყეს კამპანია, რომელიც ეუფლისხმობს ემიგრანტების მობილიზებას უცხოეთში.

"ჩვენი ბრძოლა ემიგრანტების ხმების დასაცავად გრძელდება. დღეს ცესკომ მხარი დაუჭირა ჩვენს მიერ ინიცირებულ დადგენილების პროექტს, რომლის მიხედვითაც საზღვარგარეთ მყოფი 800-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე შეძლებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებასა და ხმის მიცემას, მიუხედავად იმისა რომ ისინი ვერ მოხვდნენ ამომრჩევლთა ერთაინ სიაში, რეგისტრაციის მისამართის არ ქონის გამო" - თამარ კორძაია

პარტიის სლოგანია-26 ოქტომბერს ვირჩევთ ევროპულ კეთილდღეობას და ვასრულებთ სიღატაკეს იზოლაციაში! დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში პარტიის ადგილობრივი წარმომადგენლები ახორციელებენ პროექტს- კარდაკარ და აცხადებენ, რომ ერთიანობით გაიმარჯვებენ.

„ძლიერი საქართველო“ №9

პარტიის ლიდერია მამუკა ხაზარაძე, რომელთანაც წინასაარჩევნოდ გაერთიანდნენ ალეკო ელისაშვილი, ანა დოლიძე და ძველი წყენა და დაპირისპირება დაივიწყეს.

“საქართველო ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში მძიმე რეალობის

წინაშე აღმოჩნდა. მოსახლეობა შეუქცევადად ღატაკდება, ათასეულობით ჩვენი თანამოქალაქე ოჯახებით ტოვებს ქვეყანას და უცხოეთში მიდის საცხოვრებლად. მმართველი ძალის დანაშაულებრივმა პოლიტიკამ სრულად შეაჩერა ევროინტეგრაციის პროცესი და საქართველო რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფ, სუსტ, დაუცველ, უპერსპექტივო ქვეყნად აქცია.

,,ძლიერ საქართველოს'' სჯერა, რომ ქართველი ხალხი იმსახურებს ნამდვილ ევროპულ ცხოვრებას, რაც ნიშნავს მეტ დასაქმებას, უკეთეს ხელფასს, მაღალ პენსიებს, თანამედროვე ჯანდაცვას, ძლიერ სკოლებს, სუფთა გარემოს, ფუნდამენტური უფლებების გარანტირებულად დაცვას და ღირსებას.

“ძლიერ საქართველოს” აქვს კონკრეტული გეგმა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ამ მომავლისკენ წაიყვანს — სწრაფად, სტაბილურად და შეუქცევადად.

„გახარია საქართველოსთვის“ №27

წინასაარჩევნო კამპანიას ატარებს ექსპრემიერის პოლიტიკური გაერთიანებაც. მან საპარლამენტო არჩევნებზე მარტო დარჩენა გადაწყვიტა და არავის-კოალიციაში არ შევიდა. მისი კამპანიაც ხელისუფლების კრიტიკაზეა აგებული.

“12 წლის თავზე ოცნება ფსიქოლოგიურად ძალადობს, ომით აშინებს და აშანტაჟებს საკუთარ მოქალაქეებს. ზუსტად იმ ზონდერებს იყენებს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, ვისაც ნაციონალური მოძრაობა იყენებდა. სასამართლო სისტემის რეფორმირების ნაცვლად, ოცნებამ ნაცების სისტემის მთავარი დანაშაულებრივი სახეები საკუთარი ძალაუფლების საყრდენად აქცია - მათ გაურიგდა. ინსტიტუტები ზუსტად ისე დაუქვემდებარა პარტიულ ბელადს, როგორც ამას ნაციონალური მოძრაობა აკეთებდა. საჯარო სამსახურის პოლიტიკური გავლენებისგან გათავისუფლების ნაცვლად, საჯარო მოხელეები კიდევ უფრო მეტად მოაქცია პარტიული წნეხის ქვეშ.

ხელისუფლება, რომლის გაცხადებული პოლიტიკური მიზანი ცხოვრების ღირსეული პირობები, სიღარიბის და უმუშევრობის დაძლევა იყო, დღეს იბრძვის კორუფციისთვის და არა - კორუფციის წინააღმდეგ. ხალხი ღარიბდება, პოლიტიკური ელიტა კი იცავს ხალხისთვის მოპარულ ფულს.

ოცნება სამწუხაროდ, იქცა პირველ ხელისუფლებად, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა საქართველოს ევროპული არჩევანი და ქვეყნის მომავალი.

ამიტომ, 2012 წლის მსგავსი ერთიანობით და გონიერებით, 2012 წლის ღირებულებების ერთგულებით, უნდა მივიდეთ არჩევნებზე და ერთად დავამარცხოთ ოცნებაც და ნაციონალური მოძრაობაც - 26 ოქტომბერს უნდა გავიმეოროთ 1 ოქტომბერი.

ნამდვილი მშვიდობით, ნამდვილი ღირსებით და ნამდვილი კეთილდღეობით ერთად უნდა გავიყვანოთ ქვეყანა სამშვიდობოს”-აცხადებს გახარია.

დედოფლისწყაროში 1474 ჰექტარი ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაცია განხორციელდა

მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი მიშელაძემ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ინვენტარიზებული ქარსაფარი ზოლები რამდენიმე ლოკაციაზე დაათვალიერა და კერძო საკუთრებაში მოქცეული ქარსაფრების მფლობელებს შეხვდა.

დღეის მდგომარეობით, დედოფლისწყაროში ინვენტარიზებული 1474 ჰექტარი ქარსაფრიდან, დაახლოებით 80% განადგურებულია. აღნიშნული ფართობიდან 79 ჰექტარი კერძო საკუთრებაშია მოქცეული. ქარების სიძლიერის მიხედვით, დედოფლისწყარო განეკუთვნება პირველი ჯგუფის მუნიციპალიტეტს, ამიტომაც უმნიშვნელოვანესია, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ნეგატიური პროცესებისგან მიწის რესურსების დასაცავად და მიწის ნაყოფიერების შესანარჩუნებლად ქარსაფრების დაცვა და მათი რეაბილიტაცია.

ქარსაფრების აღდგენა/გაშენება შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული ქარსაფარი ზოლის სტატუსის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებზეც ჩატარდა ინვენტარიზაცია. შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქარსაფრებისთვის სტატუსის მინიჭებაზე კერძო მესაკუთრეებთან თანამშრომლობა. ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტის 33 მესაკუთრესთან შეთანხმება უკვე არსებობს, მათ მფლობელობაში არსებული ქარსაფრების ფართობი ერთობლიობაში 11 ჰექტარს შეადგენს.

საინვენტარიზაციო სამუშაოების ფარგლებში, მოხდა ქარსაფარი ზოლების ფაქტობრივი მდგომარეობის აღწერა, ინვენტარიზაციას დაექვემდებარა მწვანე ნარგაობებით დაკავებული ქარსაფარი ზოლები და ის ტერიტორიებიც, სადაც მთლიანად ან ნაწილობრივ არის განადგურებული ქარსაფრები, ასევე, მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც სახელმწიფო უწყებებში დაცული დოკუმენტების მიხედვით წარმოადგენდა ქარსაფარ ზოლს.

სააგენტო ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაციის პროგრამას საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული პროგრამით, 2021 წლიდან ახორციელებს. საინვენტარიზაციო სამუშაოების გეგმის მიხედვით, 2023 წელს, ინვენტარიზაცია მიმდინარეობდა დედოფლისწყაროს, ქარელის, კასპის და დუშეთის მუნიციპალიტეტებში; გასული წლის მდგომარეობით, ინვენტარიზებულმა ფართობმა შეადგინა 2697 ჰა. 2021-2023 წლებში, საერთო ჯამში, ინვენტარიზებულია 3967 ჰექტარი ქარსაფარი, საიდანაც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირებულია 1716 ჰა. სტატუსის მინიჭების პროცესი მიმდინარეობს. **შირაქი**

ბაია გალერეაში ქეთი ბენაშვილის პერსონალური გამოფენა „დინება“ გაიხსნა

ქეთი ბენაშვილის გამოფენა დინებას ეძღვნება - სამყაროს, სიცოცხლის, არსებობის ეს ფორმა აძლევს ინსპირაციას მის მხედველობით ხატებს.

დინება - მოძრაობის, ნაკადის, ცვლილების, განახლების, ჩათრევის, გაუჩინარების, გადარჩენის ეს სიმბოლო, ქეთის მხატვრობით ასოციაციების დაუსრულებელ ჯაჭვს ქმნის, ხან საშიშროებასთან არის იდენტიფიცირებული, ხან ნეტარებასთან და ავტორს ამ თემებით „თამაშის“ უამრავ შესაძლებლობას აძლევს - ფიგურატიული გამოსახულებებიდან აბსტრაქციამდე, სიმბოლური ინსტრუმენტებიდან რეალისტურ პარალელებამდე. ავტორი მასალის დიდ სპექტრს იყენებს, დიდ ობიექტებს ქმნის, ცემენტით - ფიგურატიული სკულპტურები გამოჰყავს, ქსოვილზე ნაქარგით და საღებავით კი - გამოსახულებები. ქსოვილით ინსტალაციებს ქმნის, დიდი ზომის ნაჭრის „ფარდებით“ სივრცის რეკონსტრუქციას ახდენს, რადგან დინება რეკონსტრუქციასაც გულისხმობს.

გამოფენა 23 ოქტომბრამდე გასტანს.

რაფაელ ნადალი პროფესიულ საჩოგბურთო კარიერას ასრულებს

რაფაელ ნადალმა პროფესიული საჩოგბურთო კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა.

„ცხოვრებაში ყველაფერს დასაწყისი და დასასრული აქვს და, ვფიქრობ, რომ ახლა კარიერის დასასრულებლად შესაფერისი დროა, რომელიც იმაზე ბევრად ხანგრძლივი და წარმატებული იყო, ვიდრე ოდესმე წარმოვიდგენდი“, - წერს ესპანელი ჩოგბურთელი სოციალურ ქსელში.

23 წლიანი კარიერის განმავლობაში რაფაელ ნადალმა „დიდი სლემის“ 22 ტურნირი მოიგო, მათ შორის საფრანგეთის 14 ღია პირველობა, ამერიკის 4 ღია პირველობა, 2 „უიმბლდონი“ და ავსტრალიის 2 ღია პირველობა. ასევე, რაფაელ ნადალი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია. 38 წლის ლეგენდარული ესპანელი ჩოგბურთელის თქმით, „დევისის თასი“ მისი ბოლო ტურნირი იქნება, რომელიც მალაგაში 19-24 ნოემბერს ჩატარდება.

ილია და ზაურ მარტყოფლიშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ნუნუ ყორღანაშვილს ძმის, ლევან და ირაკლი მარტყოფლიშვილებს ბიძის,

ოთარ ყორღანაშვილის

გარდაცვალების გამო.

„ნეოლაბი“ — გიწვევთ!

კლინიკა „ნეოლაბის“ დედოფლისწყაროს ფილიალში შეგიძლიათ გაიაროთ კონსულტაციები თბილისიდან მოწვეულ სპეციალისტებთან.

პედიატრის, კარდიოლოგის, ინფექციონისტის, ექოსკოპისტის, გინეკოლოგის და გასტროენტეროლოგის ვიზიტები კლინიკა „ნეოლაბში“ ყოველთვიურად ხორციელდება.

2 ნოემბერს კონსულტაციებს გამართავს გასტროენტეროლოგი, გინეკოლოგი და ექოსკოპისტი.

კონსულტაცია ფასიანია

ჩაწერისთვის უნდა დაგვიკავშირდეთ კლინიკის ნომერზე:

0 (356) 20 00 85 ან **596 39 20 00.**

კლინიკა „ნეოლაბის“ დედოფლისწყაროს ფილიალი მდებარეობს ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ. №57.

*გინეკოლოგის კონსულტაცია;

*ექოსკოპიური კვლევა (გინეკოლოგიური და ვაგინალური);

*ვაგინალური ნაცხის ანალიზი;

ზემო მაჩხაანში ელიას ეკლესია აღადგინეს

სოფელ ზემო მაჩხაანში ე.წ. თელაწყალზე მდებარე წმინდა ელიას ეკლესიას რეაბილიტაცია ჩაუტარდა. გამაგრდა ამორტიზებული ჭერი და კედლები. 6 ოქტომბერს დეკანოზმა გიორგი ჯინაშვილმა ტაძარში საუკუნის შემდეგ პირველი წირვა აღავლინა. როგორც დეკანოზმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, სარეაბილიტაციო სამუშაოები კვლავაც გაგრძელდება და ამიერიდან ტაძარი მოქმედი იქნება.

დეკანოზი გიორგი ჯინაშვილი: „ზუსტი დათარიღება არ გვაქვს, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ საკმაოდ ძველი ტაძარია. მნიშვნელოვანი ადგილია ზემო მაჩხაანელებისთვის. რამდენჯერმე აღდგენის კვალი ეტყობა. სავარაუდოდ მეექვსე საუკუნის ფუძე უნდა იყოს და შემდეგ აღდგენილია. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დავით გარეჯის, ასურელი მამების და სტეფანე ხირსელის დროინდელია, როცა გარეჯიდან ელიას მთამდე ბერები ცხოვრობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის განაპირას მდებარეობს, მოსახლეობა ისევ დადიოდა ამ ადგილას. აქამდე მოქმედი არ იყო, მაგრამ პერიოდულად პარაკლისს ვიხდიდით ხოლმე. მანამდე ფრთხილად შევდიოდით ტაძარში, რადგან საკმაოდ ამორტიზებული იყო. მივმართეთ ძეგლთა დაცვის სააგენტოს, შევადგინეთ შესაბამისი პროექტი, მივიღეთ ნებართვა და ეპარქიის დროებითი მმართველის, მეუფე თეოდორეს კურთხევით აღდგენითი სამუშაოები დავიწყეთ. პროექტი არქიტექტორმა სერგო ქართველიშვილმა შეადგინა. ძირითადად მრევლის და ჩვენი მეგობრების შემოწირულობებით გახდა შესაძლებელი ამ კარგი საქმის განხორციელება. ჭერი მთლიანად განახლდა, გამაგრდა კედლები, იატაკი. ძირითადი სამუშაოები დასრულებულია. ახლა რჩება მოწყობის სამუშაოები, რომელზე მუშაობაც გაგრძელდება. შემდეგ მოვიწვევთ მეუფეს და ვაკურთხებთ. ზემო მაჩხაანსა და მირზაანში 13 ტაძარია, ამდენად, მორიგეობით ელიას ტაძარშიც გვექნება წირვა“.

ვალერი ჯანაშვილი *(სტიქაროსანი):* „1900-იანი წლების დასაწყისში ადგილობრივი მაცხოვრებლები სოფლის განაპირას ტერიტორიაზე თვეობით მიდიოდნენ და ნაკვეთებს ამუშავებდნენ. შემოდგომამდე იქ ყოფნა უწევდათ, ნასახლარები ისევ არის. როგორც იხსენებენ, ამიტომაც აშენდა ამ ადგილას ელიას ეკლესია. მამაჩემი ყვებოდა ხოლმე, რომ ბავშვებს იქვე მოწყობილ საბავშვო ბაღში მიგვაბარებდნენ ხოლმეო. როგორც ჩანს, თელაწყალზე სახელდახელო ბაღი მოქმედებდა, რომ ბავშვები იქ მოეგროვებინათ, უფროსებს კი ბოსტანში კარგად ემუშავათ. სავარაუდოდ, რიყის და იორის ქვა არის ნაზიდი და ხალხმა ააშენა. პატარა, მაგრამ ლამაზი ტაძარია. აგვისტოში ელიაობას აღნიშნავდნენ ხოლმე. მოქმედი ტაძარი არ არის, მაგრამ აქ ადგილობრივები ყოველთვის მიდიოდნენ და სანთლებს ანთებდნენ, საკლავს წირავდნენ, ხატებს ტოვებდნენ. დაშლის პირას იყო, წყალი ჩამოდიოდა, საძირკველიც ამორტიზებული იყო, არც კარი ჰქონდა. როცა მამა გიორგი ნაკვეთების საკურთხევლად მიდიოდა, ამ ტაძართანაც ადიოდა და პარაკლისს იხდიდა ხოლმე. ადგილობრივების მოთხოვნაც მუდმივად იყო, რომ ამ ეკლესიისთვის მიგვეხედა და ჩვენი წინამძღვარიც ხშირად საუბრობდა, რომ აღდგენილიყო ეს ტაძარი. მაჩხაანიდან ელიამდე გზა ძალიან დახევებული და ქვაღორღიანია, ამიტომ ბოდბიდან შემოვლითი გზით, გრძელი მანძილიდან მივდივართ ხოლმე, რადგან იქ ასფალტიანია. ახლა შენობა გამაგრდა, კარი გაუკეთდა, ტრაპეზი ჯერ არ გაკეთებულა, ხის დროებითი მაგიდა შეიკრა, მაგრამ ესეც წესის მიხედვით გაკეთდება. პირველი წირვა ჩატარდა, ეპარქიის სხვა სტუმრებიც იყვნენ, მრევლიც საკმაოდ მოვიდა. ისტორიული დღე იყო. დედები გალობდნენ“.

ზემო მაჩხაანის წმინდა ელიას ეკლესია – არქიტექტურული ძეგლი დგას სოფელ მაჩხაანის სამხრეთით 9-10 კილომეტრზე, თელათწყლად წოდებულ ადგილზე. განეკუთვნება გვიან შუა საუკუნეებს. ეკლესია დარბაზულია, ნაგებია დაუდევრად, სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვითა და რიყის ქვით. გარეთა კუთხეების წყობაში ალაგ-ალაგ კვადრატული აგურიცაა ჩართული. აგურითაა გამოყვანილი კამარა, კონქი და ეკლესიის შესასვლელი, რომელიც ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ კიდეშია გაჭრილი. კარი თაღით ყოფილა გადახურული. იგი გარედან ჩასმულია საფეხურით შეღრმავებულ სწორკუთხა არეში, რომელიც დასრულებულია ერთ რიგზე გამოყვანილი, ხერხულა წყობის ზოლით. შესასვლელი შიგნით, სავარაუდოდ, ხის ზღუდრით, თარაზულად ყოფილა გადახურული.

ეკლესიის შიდა სივრცე აღმოსავლეთით აფსიდითაა დასრულებული, რომელსაც გეგნით უსწორმასწორო ნახევარწრის ფორმა აქვს და გრძივ კედლებს უშუალოდ ერთვის. აფსიდის ღერძზე გაჭრილის დაბალი, თარაზულად გადახურული სარკმელი, გვერდებში კი, თითო სწორკუთხა ნიშაა. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, აგურითაა და ნატეხი ქვით ნაგები ოთხწახნაგა ტრაპეზია მიდგმული. აფსიდი გადახურულია აგურის ნაწყობი კონქით, რომელიც დარბაზის ფორმის, აგურისავე შეკიდული, საბჯენი თაღითაა გამიჯნული. ოდნავ შეისრული ფორმისაა კამარაც. იგი აფსიდის თაღის გარდა, დასავლეთ კედლის მიმდებარე საბჯენ თაღსაც ეყრდნობა. ეს უკანასკნელი, აფსიდის თაღის მსავსად, შეკიდულია.

შემოწირულობისთვის –

GE37BG0000000672971400

მიმღები: **დეკანოზი გიორგი (ჯინაშვილი)**

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 მეტრკვადრატი, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელმეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით , ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 მეტრკვადრატი ხეხილით, რკინის კარით. ფასი 34 700$ ტელ: 595 32 47 61

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

	ორშაბათი 14.10		სამშაბათი 15.10		ოთხშაბათი 16.10		ხუთშაბათი 17.10		პარასკევი 18.10		შაბათი 19.10		კვირა 20.10	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	15°	11°	16°	9°	16°	8°	17°	6°	12°	5°	11°	4°	11°	4°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი